

(1997)

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს **გადაწყვეტილება აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობის შესახებ**

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა საბჭო, ადასტურებს თავის ერთგულებას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი,

იმოწმებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მეთაურების ლისაბონის შეხვედრის 1996 წლის დეკემბრის დეკლარაციას, რომელმაც @დაგმო ეთნიკური წმენდა~, რასაც შედეგად მოჰყვა აფხაზეთში უპირატესად ქართველი მოსახლეობის მასობრივი მოსპობა და ძალადური განდევნა~, აგრეთვე, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების დამაბრკოლებელი მოქმედება,

ხელმძღვანელობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერის შესახებ აღმა-ათის 1995 წლის 10 თებერვლის მემორანდუმის დებულებებითა და თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მინსკის 1995 წლის 26 მაისის განცხადებით სეპარატიზმის საფრთხის დაძლევის შესახებ, რაც წარმოადგენს კავკასიაში სტაბილურობის უზრუნველყოფისა და ამ რეგიონში კონფლიქტების მოწესრიგების უმნიშვნელოვანეს პირობას.

გმობს აფხაზეთა მხარის პოზიციას, რომელიც ხელს უშლის აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების შესახებ მორიგებების მიღწევას,

აღნიშნავს, რომ აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ 1996 წლის 19 იანვრის მისი გადაწყვეტილებით მიღებული ღონისძიებების შესაბამისად განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყვეს მოლაპარაკებების პროცესის გარკვეულ გააქტიურებას.

ამავე დროს დაძლეული არ არის უთანხმოებანი საკვანძო პრობლემების გადაწყვეტაში, მათ შორის, აფხაზეთის (საქართველო) სტატუსის პოლიტიკურ განსაზღვრაში, არ გადაჭრილა ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო, ღირსეული დაბრუნების პრობლემა. სერიოზულ შემფოთებას იწვევს ის, რომ გაფართოვდა დივერსიულ-ტერორისტული აქტების მასშტაბი გალის რაიონში; კვლავ ირღვევა შეთანხმებანი 1994 წლის 14 მაისის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ. ტერორისა და ძალმომრეობის მსხვერპლია ადგილობრივი მოსახლეობა, ლტოლვილები და ადგილნაცვალი პირები, მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების სამხედრო მოსამსახურენი.

სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო აცხადებს, რომ თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები:

\_ ყოველ ღონეს იხმარენ აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების რაც შეიძლება მალე მიღწევის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებისათვის;

\_ სრული მოცულობით განახორციელებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებას ~აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ~ და გააგრძელებენ მისი შესრულებისათვის კონტროლს;

\_კვლავაც მთლიანად დაუჭერენ მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

გამოთქვამს რა დიდ შემფოთებას იმის გამო, რომ მოწესრიგებული არ არის პოლიტიკური და ჰუმანიტარული პრობლემები, კვლავ გრძელდება კონფლიქტები, სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო თანამეგობრობის წევრ ქვეყნებსა და მსოფლიო გაერთიანებას მოუწოდებს კვლავაც გაუწიონ ჰუმანური დახმარება იმის დროს დაზარალებულ მოსახლეობასა და რაიონებს.

ხელმოწერილია ქალაქ მოსკოვში **1997 წლის 28 მარტს** ერთი დედნის ეგზემპლარით რუსულ ენაზე..

**ხელმოწერილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების პრეზიდენტთა მიერ.**

გადაწყვეტილებას ხელი არ მოაწერეს ბელარუსის რესპუბლიკამ, თურქმენეთმა.  
(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", #73, 1997 წლის 30 მარტი)